იხვი და მყვარი

ერთს მთაში ერთი მომცრო, წვიმის მდგარი გუბე დარჩომილიყო. მივიდა ერთი იხვი, ჩაჯდა და იყოფებოდა.

ერთი მყვარი დაემმობილა იხვსა და ერთად იყვნენ და, რაც გაეწყობოდა, შეექცეოდიან. რა მზე გაცხარდა და ზაფხულმან სიცხე მოუმატა, წყალმან კლება შექმნა.

იხვმან უთხრა მყვარს: მოდი, ადგილი ვიცვალოთო!

მყვარმან უთხრა: შენ აქა–იქ თრევას ჩვეულხარ, მე სამკვიდროა ვერ დავუტევებო!

იხვი გაფრინდა, სადაც დიდი წყალი იყო, იქ მივიდა.

მყვარმან სამკვიდრო არ გაუშვა.

ცოტას ხანს უკან იხვმან თქვა: წავალ, ჩემს ძმობილს ვნახავ, რასა იქმსო.

მოვიდა, ნახა, გუბე გამხმარიყო, მყვარი მომკვდარიყო. უთხრა: ძმობილო, მაგისთანას სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო.

– რადგან რუქა აგრე ავის საქმის ქმნაზე დამკვიდრებულა, თქვენ კი ნუ აჰყვებით, კარგი ქმენით და მაგას იმ მყვარსავით დაემართებაო.

თქვა ვაზირმან არაკი: